ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482603621
თარიღი:05/02/2026

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 20 ნოემბრის №№48. 482532432 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 4^1 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის 1^1 და მე-3^1 პუნქტების შესაბამისად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.შეტანილი იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 20 ნოემბრის №№48. 482532432 ბრძანებაში და ამ ბრძანების დანართი („ePLAN“) დამტკიცდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2.დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილებას (ა. გელენიძე), დადგენილი წესით უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილების რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN“ მოდულში.

3.ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

4.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი